ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43-73

2024 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი №2) 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$", „$გ^2$" და „$გ^3$" ქვეპუნქტები:

„$გ^1$. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათალისწინებული სამშენებლო მოცულობის პროცენტულობა (18%) მოიცავს მხოლოდ საცხოვრებელ ფართებს და არ მოიცავს გადასაცემი ფართების აივნების ფართობს."

$გ^2$. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო განვითარება ხორციელდება კერძო პირის საკუთრებაში არსებულ იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია არანკლებ IV კატეგორიის ავარიულობის ხარისხის შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები, რაც დასტურდება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან ა(ა)იპ – თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე და აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში/შენობა-ნაგებობეში არსებული ფართები ფიზიკურ პირთა მიერ საცხოვრებელი მიზნით ფაქტობრივად დაკავებულია თვითნებურად/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე 2020 წლამდე (შემდგომში – „მფლობელები"), რაც დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ, არ გავრცელდეს ამ პუნქტის „ბ", „გ" „$გ^1$" და „ე" ქვეპუნქტები.

$გ^3$. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „$გ^2$" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის სხვა ისეთ მიწის ნაკვეთთან (შენობა-ნაგებობის გარეშე) გაერთიანების შემთხვევაში, რომლის ფართობიც არ აღემატება გაერთიანების შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის 30%-ს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „$გ^2$" ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულირება ვრცელდება გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე სრულად.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე